ლელო

№ 45 (10 214)
6 მარტი
სამშაბათი
1990 წ.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО — ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 8 კაპ.

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

დამაჯერებელი რევანში

დინამოელი შალვა ცხვედიანი (მუქ მაისურში) უტევს მეტოქეთა კარს.
ა. კოტორაშვილის ფოტო.

თბილისი. ბავშვთა კალათბურთის სახახლე. 3 მარტი.

„დინამო“ (თბილისი) — „ჟალგირისი“ (კაუნასი) 88:102 (46:52).

„დინამო“: ტიუბინი (33), დარსაძე (17), დაუშვილი (9), ხანაძე (8), ცხვედიანი (8), ფერიაშვილი (7), ბაჭრაძე (5), ვაშაკიძე (1).

„ჟალგირისი“: ეინიკისი (21), სტუმბრისი (17), ბრაზისი (16), ბრაზრდაუსკისი (12), ბუბლისი (11), ბარანსკასი (10), მარკიავიჩუსი (10), პალშისი (5), ლუკშინასი.

მსაჯი: ი. აპოლონოვი, ვლ. ბარსუკოვი (ორივე — ლენინგრადი).

დუბლშემადგენლობანი — 71:112 (34:60).

• • •

თბილისი. ბავშვთა კალათბურთის სახახლე. 4 მარტი.

„დინამო“ (თბილისი) — „ჟალგირისი“ (კაუნასი) 99:80 (57:44).

„დინამო“: ცხვედიანი (24), დარხაძე (17), შენგელია (15), ტიუბინი (14), ხანაძე (12), დაუშვილი (7), ბაჭრაძე (6), ტალაბაძე (4).

„ჟალგირისი“: ბრაზდაუსკისი (19), სტუმბრისი (12), ბრაზისი (11), ეინიკისი (8), იურგოლასი (8), ბუბლისი (6), მარკიავიჩუსი (6), ბაჩანსკასი (4), პალშისი (1), დიმავიჩუსი, გედრაიტისი.

მსაჯები: ი. აპოლონოვი, ვლ. ბარსუკოვი (ორივე — ლენინგრადი).

დუბლშემადგენლობანი — 76:100 (46:44).

ლიტვური კალათბურთი ბოლო წლებში დიდ აღმავლობას განიცდის და ამიტომაც „ჟალგირისთან“ შეხვედრა ყველა გუნდისთვის დიდი გამოცდაა. წლეულს კაუნასელები გაახალგაზრდავებული შემადგენლობით თამაშობენ და ამიტომ არ ირიცხებიან ჩემპიონატის მედლების უშუალო მაძიებელთა შორის.

თბილისელებს ამ სეზონში სულ სხვა, საკმაოდ რთული ამოცანა აქვთ გადასაწყვეტი. ძირითადი, წამყვანი ბირთვის ძიების პროცესი, ფაქტიურად, დასრულდა და ახლა გუნდი ნელ-ნელა იკრებს ძალას, იძენს სათამაშო გამოცდილებას. გამობრძმედილი ვეტერანების გელა დარსაძისა და ანდრეი ტიუბინის მხარდამხარ სულ უფრო თამამად თამაშობენ და „იხსნებიან“ ახალგაზრდები.

ამის დასტური იყო გასულ შაბათ-კვირას გამართული ორი კალენდარული მატჩიც.

პირველი შეხვედრა დინამოელებმა საკმაოდ დამაჯერებლად დაიწყეს. მიუხედავად იმისა, რომ „ჟალგირისი“ მთელი პირველი ტაიმის მანძილზე წინ იყო, „დინამომ“ შვიდჯერ (!) გაათანაბრა ანგარიში და სულ იყო იმის იმედი, რომ ქართველი კალათბურთელები შეძლებდნენ წინ გასვლას. მაგრამ მოხდა პირიქით. პირველი ტაიმის დამთავრებას წუთნახევარი აკლდა, როდესაც ტიუბინის 3-ქულიანი ტყორცნის შემდეგ კვლავ გათანაბრდა ანგარიში — 46:46. დარჩენილ დროში „დინამომ“ ზედიზედ დაუშვა რამდენიმე შეცდომა, რაც კარგად გამოიყენეს ლიტველებმა, და ტაიმი თა-

იხ. მე-3 გვ.

საქართველოს სპორტსახკომში

კოლეგიის სხდომაზე, რომელიც ამ დღეებში გაიმართა, ყველა საკითხს იმ მოვლენებისა და პროცესების გათვალისწინებით განიხილავდნენ, რაც დღეს საერთოდ საბჭოთა კავშირში და, კერძოდ, საქართველოში მიმდინარეობს. ეროვნულმა სპორტულმა მოძრაობამ ამთავითვე უნდა გამოკვეთოს თავისი კურსი, რათა ახალი მიდგომით შევინარჩუნოთ მემკვიდრეობითობა მაღალი სპორტული მწვერვალების დასაპყრობად.

საქართველოს სპორტსმენთა მიერ 1989 წლის მართლაც თვალსაჩინო წარმატებების შეჯამებისას ხაზი ძირითადად მაინც ნაკლოვანებებს გაესვა. ამასთან დაკავშირებით კოლეგია სპორტის ცალკეულ სახეობებში ხელმძღვანელთა მხრიდან მხოლოდ ფაქტების კონსტატაციას როდი დახჯერდა. კოლეგიის წევრებმა მოსთხოვეს მათ პასუხი გაეცათ მთავარზე — რა იწვევს ჩამორჩენას? ზოგიერთი სპეციალისტი შეეცადა, საქმის რეალური ვითარება შელამაზებულად წარმოედგინა. ეს შეფასდა, როგორც ობიექტური და ფაქტობრივი მდგომარეობის გაყალბების, მიღწეულით თვითდამშვიდებისა და წარმატებების ფონზე ნაკლოვანებათა მიჩქმალვის მცდელობა. არადა, სპორტის ბევრ სახეობაში, ზოგჯერ იქაც კი, სადაც მართლაც საამაყო წარმატებები გვაქვს მოპოვებული, ერთეულ სპორტსმენთა ხარჯზე, ყველაფერი რიგზე არ არის.

დღეს რესპუბლიკაში არის 120-130 სპორტსმენი, რომელთაგანაც უნდა შეირჩნენ მომავალ ოლიმპიადაში მონაწილეობის რეალური კანდიდატები. ითქვა, რომ არც ეს არის საკმარისი, რადგან საქართველოს ხვალინდელ დღეს მეტი სჭირდება. უმაღლესი სპორტული ოსტატების სკოლების სამასი სპორტსმენი საქართველოს ოლიმპიელთა ძირითადი ბირთვი უნდა გახდეს. განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კოლეგიამ აღნიშნა, რომ ქართულ სპორტს ახალი, დიდად საპასუხისმგებლო ეტაპი დაუდგა. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა ობიექტურმა თუ სუბიექტურმა მიზეზებმა არ შეაფერხოს ჩვენი წინსვლა. მუშაობის ახალი ფორმებისა და მეთოდების თამამი დანერგვით უნდა ვიაროთ აღმავლობის გზით. აი, მკაცრი მომთხოვნელობის ასეთ ატმოსფეროში მიიღო დადგენილება ამ საკითხზე კოლეგიამ.

სიმწყვანის დეფიციტი, ცხადია, არც სხვა საკითხების განხილვისას იგრძნობოდა. ხელმძღვანელთა პირადი პასუხისმგებლობის ამაღლებაზე გაამახვილეს უურადღება კოლეგიის წევრებმა, როცა ხობის ოლიმპიური რეზერვის სახწავლებელში, აგრეთვე რესპუბლიკის ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის სახპორტო სკოლებში შექმნილი მდგომარეობის, მათი საქმიანობის შემდგომი გააქტიურების საკითხს იხილავდნენ.

კოლეგიის სხდომაზე ასევე პრინციპულად იმსჯელეს რესპუბლიკაში ველოსპორტის განვითარების, ქალთა წყალბურთის მდგომარეობის, ლელობურთის შემდგომი პოპულარიზაციის, ჭადრაკში მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირებში საქართველოს წარმომადგენელთა მონაწილეობის შესახებ.

განიხილეს აგრეთვე სხვა საკითხები და დაამტკიცეს ნომინკლატურული მუშაკები.

„დინამო“ იცვლის სახელს

ამის თაობაზე გადაწყვეტილება მიიღო თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის წევრთა საერთო კრებამ. ცხადია, ყველას აინტერესებს, რა სახელი შეარჩიეს თავიანთი კლუბისათვის თვით დინამოელებმა.

კრებამ გადაწყვიტა: თბილისის „დინამოს“ საფეხბურთო კლუბს, რომელიც ამიერიდან აღარ გამოვა სსრ კავშირის პირველობაში და საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში იასპარეზებს, ეწოდოს „იბერია“. ამასთან დაკავშირებით დინამოელები სთხოვენ ფეხბურთის გულშემატკივრებს გამოთქვან თავიანთი მოსაზრება ან წამოაყენონ სხვა წინადადებები.

15 მარტი შენიშვნებისა და წინადადებების მიღების ბოლო ვადაა. მოგვწერეთ „ლელოს“ რედაქციაში.

მაშ ასე, „იბერია“ თუ...

ინფორმაცია

მოსკოვში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი სინქრონულ ცურვაში ჟურნალ „სოვეტსკაია ენიშჩინას“ პრიზზე. ვიუწყებოდით რომ, სავალდებულო პროგრამის შემდეგ საბჭოთა ქვეყნის ნაკრების ლიდერი, თბილისელი ხრისტინა ფალასინიდი საგალდებულო პროგრამის შემდეგ მეორე ადგილზე იმყოფებოდა. ჩვენმა თანამემამულემ ასპარეზობის შემდგომ ეტაპზე უძლიერეს ამერიკელ და კანადელ სპორტსმენებთან პაექრობაში მხოლოდ ამერიკელ ტრეისი ლონგს დაუთმო. კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხური, რაც დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს.

თვის მონაგარი

თებერვლის ტრიუმფატორები

ჩვენმა ათლეტებმა თებერვალში გამართულ საკავშირო შეჯიბრებებშიც გაიმარჯვეს და საერთაშორისო ტურნირებშიც. თავი გამოიჩინეს სპორტის რვა სახეობის წარმომადგენლებმა, რომლებმაც თხუთმეტ ასპარეზობაში იმარჯვეს. მაგრამ თებერვალში სპორტულ სფეროში მომხდარი მოვლენებიდან უდიდესი რეზონანსი მაინც საქართველოს დამოუკიდებელი საფეხბურთო ფედერაციის შექმნამ და ამიერიდან ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის ჩატარებამ გამოიწვია. ახლა ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ „თვის მონაგარში“ ჩვენი ფეხბურთელების საერთაშორისო წარმატებებიც ხშირად ვახსენოთ.

ახლა უშუალო სპორტულ სარბიელზე მოპოვებული ჩვენი ათლეტების წარმატებებს შევეხოთ.

ქართველ ძიუდოისტებს ადგილი „თვის მონაგარში“ მუდამ დაჯავშნული აქვთ. გამონაკლისი არც თებერვალი აღმოჩნდა. მათ, როგორც იტყვიან, არც შინ ჰყავთ ბადალი და არც გარეთ.

პარიზში გამართულ ძიუდოისტთა დიდ საერთაშორისო ტურნირში უძლიერესის სახელი მოიპოვა მარტყოფელმა ამირან ტოტიკაშვილმა.

თბილისის ძიუდოისტთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი საქართველოს წარმომადგენელთა ტრადიციული ტრიუმფით დამთავრდა. მათ მოიპოვეს ხუთ-ხუთი ოქროსა და ვერცხლის, აგრეთვე ოთხი ბრინჯაოს მედალი. აქ ქართული

იხ. მე-4 გვ.



თბილისის საერთაშორისო ტურნირი — „მეგობრობის თასი“ უკვე ისტორიის კუთვნილება გახდა. ცხინვალელ ძალოსანს, მსოფლიო ჩემპიონს იუნიორებს შორის კახი კახიაშვილს სპეციალისტები ამჯერად ინტერესით ადევნებენ თვალყურს. კახიმ ამ ტურნირშიც გაიმარჯვა, ხოლო კობა ტალახაძემ (ზემძიმე) და ბიძინა მიქიაშვილმა (75 კგ) შესაბამისად IV და VIII ადგილები დაიკავეს.

ტურნირთან დაკავშირებით წერილს უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: კახი კახიაშვილი ასპარეზობისას.
ა. კოტორაშვილის ფოტო.

ველოსპორტი. ავსტრალიელმა ველოსიპედისტმა სტივენ პეიტმა ქალაქ პერტის დახურულ ტრეკზე ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა პროფესიონალთა შორის 1000 მეტრზე ადგილიდან ჰიტში — 1.01,10. ადრინდელი მიღწევა ბელგიელ პატრიკ სერკიუს ეკუთვნოდა — 1.01.230.

ცურვა. ახალი მსოფლიო მიღწევა 50 მეტრზე გულაღმა ცურვაში მოიპოვა კანადელმა მარკ ტიუკსბერიმ კანადის ქალაქ სასკატუნის 25-მეტრიან აუზში. მისი შედეგია 25,06 წამი, რაც 0,4 წამით აღემატება იაპონელი დაიტი სუძუკის ადრინდელ შედეგს. ამავე აუზში ახალი მსოფლიო მიღწევა მოიპოვა კალგარის უნივერსიტეტის ნაკრებმა 4X100 მეტრზე კომბინირებულ ესტაფეტაში — 3.36,66 წმ. ადრინდელი მიღწევა ამერიკელებს ეკუთვნოდათ (3.37,36). კანადელთა შემადგენლობა ასეთი იყო: მარკ ტიუკსბერი, იონ კლივლენდი, ტომ პონტინგი, სტივენ ვან დერ მიულენი. იმიტომ ვახსენებთ მსოფლიო მიღწევას, რომ სამოყვარულო ცურვის საერთაშორისო ფედერაცია მსოფლიო რეკორდებს მხოლოდ 50-მეტრიან აუზებში აღრიცხავს.

ველოსპორტი — ეკიპაჟები

საქართველოს ინვალიდთა ფიზკულტურულ-სპორტული ფედერაციის წესდება

ეროვნული ბიბლიოთეკ

1. ზოგადი დებულებები

1. 1. საქართველოს ინვალიდთა ფიზკულტურულ-სპორტული ფედერაციი (შემდგომში — **სიფსფ**) წარმოადგენს თანამოაზრეთა თვითმმართველობაზე დამყარებულ ნებაყოფლობით საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს სსრ კონსტიტუციის, მოქმედი კანონმდებლობისა და საკუთარი წესდების შესაბამისად.

სიფსფ არის უმაღლესი საკოორდინაციო საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც წარმართავს ინვალიდთა სხვადასხვა ფიზკულტურული, სპორტული გაერთიანებისა და საზოგადოების საქმიანობას სრულიად საქართველოს ტერიტორიაზე და საქართველოში მოსახლე ინვალიდ-სპორტსმენებს წარმოადგენს საკავშირო თუ საერთაშორისო ასპარეზზე, იცავს საზღვარგარეთ მცხოვრებ ჩვენს ხეიბარ თანამემამულე სპორტსმენთა ინტერესებს.

1. 2. **სიფსფ**-ის მიზანია რესპუბლიკაში საინვალიდო სპორტის სახეობათა დანერგვა-განვითარება, ინვალიდთა და ინვალიდ-სპორტსმენთა ჯანმრთელობის გაუმჯობესება, აგრეთვე, ინვალიდთა ყოველმხრივი რეაბილიტაციისათვის ხელშეწყობა.

1. 3. დასახული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად **სიფსფ** იყენებს საქართველოს კანონმდებლობებით ნებადართულ ფორმებს: ფონდების შექმნა, სამუშაო კომისიების ჩამოყალიბება და დაფინანსება, ნამუშევართა პრემირება და რეკლამირება, საჯარო ღონისძიებათა ორგანიზაცია, წინადადებით შესვლა პარტიულ და სახელმწიფო ორგანოში, მონაწილეობა სახალხო დეპუტატთა საბჭოების ფორმირებასა და საქმიანობაში, თანამშრომლობა ყველა მოქალაქესა და ორგანიზაციასთან, რომლის საქმიანობა არ ეწინააღმდეგება ცივილიზებული საზოგადოების იდეალებს.

2. სიფსფ-ის წევრები შეიძლება იყვნენ:

2. 1. ინვალიდთა რეგიონალური, საქალაქო და რაიონული ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციები, კლუბები, გაერთიანებები, აგრეთვე, სხვადასხვა ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაცია, რომელსაც შეუძლია დახმარება აღმოუჩინოს ინვალიდ-სპორტსმენებს.

ფედერაციის კოლექტიური წევრი შეიძლება გახდეს ყველა საწარმო, სამედიცინო და სამეცნიერო დაწესებულება, საზოგადოებრივი ორგანიზაცია, ფირმა თუ კოოპერატივი.

2. 2. **სიფსფ**-ის წევრებს მიიღებენ რეგიონალური და რესპუბლიკური ორგანოები დაწესებულებების ხელმძღვანელების განცხადებების საფუძველზე.

3. სიფსფ-ის წევრების უფლება-მოვალეობანი:

3. 1. წარმოადგინოს კანდიდატურა, აირჩიოს ან არჩეულ იქნეს **სიფსფ**-ის ხელმძღვანელ ორგანოებში.

3. 2. დააყენოს საკითხი, წარუდგინოს წინადადებები და პროექტები **სიფსფ**-ის ნებისმიერ ორგანოს.

3. 3. მართვის ორგანოებიდან მიიღოს საჭირო ინფორმაცია.

3. 4. მონაწილეობა მიიღოს მართვის იმ ორგანოს სხდომაში, სადაც იხილება მისი პირადი საკითხი.

3. 5. პრაქტიკული მონაწილეობა მიიღოს კომისიების მუშაობაში.

3.6. გავიდეს **სიფსფ**-დან.

3. 7. იცავდეს წესდებას და პირადად მონაწილეობდეს **სიფსფ**-ის ამოცანების განხორციელებაში.

3. 8. მოთხოვოს წესდების დაცვა **სიფსფ**-ის სხვა წევრებსა და მართვის ორგანოებს.

3. 9. წინ აღუდგეს **სიფსფ**-ის ავტორიტეტის შელახვის ცდას.

3. 10. **სიფსფ** ვალდებულია მის ფარგლებს გარეთ დაიცვას თავისი წევრების კანონიერი ინტერესები.

3. 11. სიფსფ-ის წევრს, რომელიც წესდებას დაარღვევს, ანდა **სიფსფ**-ის ამოცანების საწინააღმდეგო ისეთ მოქმედებას ან საქციელს მიმართავს, რომელიც სახელს უტეხს **სიფსფ**-ს, შეიძლება გამოეცხადოს საყვედური და განმეორების შემთხვევაში გაირიცხოს **სიფსფ**-დან.

საჩივარი შეიძლება შეტანილ იქნას **სიფსფ**-ის ზემდგომ ორგანოში. რომელიც ვალდებულია ერთი თვის ვადაში უზრუნველყოს საკითხის განხილვა.

სიფსფ-ის წევრის პირადი პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება განიხილოს **სიფსფ**-ის ნებისმიერმა ორგანომ.

4. ორგანიზაციული სტრუქტურა

4. 1. **სიფსფ** აგებულია დემოკრატიულობისა და საჯაროობის პრინციპებზე, რაც გულისხმობს ყველა ხელმძღვანელი ორგანოს არჩევითობას, გადაწყვეტილების მიღების პარლამენტურ წესს, ანგარიშვალდებულებას.

4. 2. **სიფსფ**-ის უზენაესი განმკარგულებელი ორგანოა კონფერენცია, რომელიც 2 წლის ვადით ირჩევს ფედერაციის პრეზიდიუმს ღია კენჭის ყრით. კონფერენცია ამავე ვადით ირჩევს **სიფსფ**-ის თავმჯდომარეს, რომელიც კონფერენციებსა და პრეზიდიუმის სხდომებს შორის წარმართავს **სიფსფ**-ის საქმიანობას, კონფერენცია ირჩევს აგრეთვე სარევიზიო კომისიას იმავე ვადით. ყოველი გადაწყვეტილება ითვლება მიღებულად, თუკი მას ხმას მისცემს სხდომის მონაწილეთა ნახევარზე მეტი.

4. 3. **სიფსფ**-ის კონფერენცია:

— განსაზღვრავს პროგრამასა და წესდებას, საკანონმდებლო დოკუმენტებს და ამტკიცებს მათ;

— ისმენს თავმჯდომარის ანგარიშს და შეფასებას აძლევს გაწეულ მუშაობას, ამტკიცებს პრეზიდიუმის ანგარიშს, განიხილავს და ამტკიცებს **სიფსფ**-ის ხელფასის ფონდს და ხარჯთაღრიცხვას;

— მოიწვევა ყოველწლიურად, შეიძლება რიგგარეშე კონფერენციის მოწვევაც. კონფერენციისა და სხვა ორგანოების სხდომა უფლებამოსილია, თუკი მას ესწრება მონაწილეთა 2/3.

5. სიფსფ-ის თავმჯდომარე

5. 1. სავალდებულოა არჩეულ იქნეს ინვალიდთა წრიდან.

5. 2. ადგენს **სიფსფ**-ის მოქმედების პროგრამას, ხელმძღვანელობს კონფერენციის გადაწყვეტილებათა განხორციელებას, პრეზიდიუმის საქმიანობას, ამტკიცებს საწარმოების, კოოპერატივებისა და სხვა წარმოებითი ორგანიზაციის შექმნას. პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით ატარებს ფინანსურ ოპერაციებს;

— შეუძლია კოოპტაციის წესითა და პრეზიდიუმის წევრთა ნახევარზე მეტის თანხმობით პრეზიდიუმში შეიყვანოს ახალი წევრები;

— შედის სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული ინვალიდთა ასოციაციის პრეზიდიუმის შემადგენლობაში;

6. სიფსფ-ის პრეზიდიუმი

6. 1. ორგანიზაციულ-დარგობრივ ხელმძღვანელობას უწევს ქვედანაყოფების მუშაობას. ამუშავებს და აზუსტებს სამოქმედო გეგმებს, ხელმძღვანელობს **სიფსფ**-ის ფონდებსა და საწარმოებს.

7. სიფსფ-ის სარევიზიო კომისია

7. 1. კონტროლს უწევს **სიფსფ**-ის ხელმძღვანელი ორგანოების საქმიანობას და მათი მუშაობის კრიტიკულ ანგარიშს წარუდგენს კონფერენციას.

8. რეგიონალური ორგანიზაციები

8. 1. იქმნება საქართველოს ისტორიული, ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფის საფუძველზე.

8. 2. რეგიონალური ორგანიზაციების უმაღლესი ორგანოა დარბაზი, ხოლო დარბაზებს შორის მათ საქმიანობას წარმართავს რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე და საბჭო.

9. საქალაქო, რაიონული ორგანიზაციები

9. 1. იქმნება პირველადი ორგანიზაციების საფუძველზე.

9. 2. საქალაქო და რაიონული ორგანიზაციების უმაღლესი ორგანოს კონფერენცია, ხოლო კონფერენციებს შორის მათ საქმიანობას წარმართავს საქალაქო ან რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე და სამდივნო.

10. პირველადი ორგანიზაციები

10. 1. იქმნება ტერიტორიულ-საწარმოო ნიშნით საწარმოებში, სახელმწიფო, სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, ფირმებსა და კოოპერატივებში.

10. 2. პირველადი ორგანიზაციების უმაღლესი ორგანოა კრება, ხოლო კრებებს შორის მათ საქმიანობას წარმართავს პირველადი ორგანიზაციის თავმჯდომარე და სამდივნო.

11. სიფსფ-ის სახსრები

11. 1. ფორმირდება:

— სახელმწიფო და საზოგადოებრივი საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და ცალკეულ პირთა შემოწირულობებით;

— **სიფსფ**-ის საქველმოქმედო საწარმოო და კომერციული საქმიანობით;

— საწევრო შენატანებით.

11. 2. **სიფსფ** ფლობს კერძო საკუთრებას, შეუძლია შეისყიდოს ან იჯარით აიღოს შენობები, სათავსოები, წარმოების საშუალებანი. აქვს მიწის არენდითა და იჯარით აღებისა და ნებისმიერი ქონების შეძენის უფლება.

11. 3. თავისი მიზნებისა და ამოცანების რეალიზაციისათვის **სიფსფ** ხელშეკრულებებს დებს სახელმწიფო კოოპერაციულ და საზოგადოებრივ დაწესებულებებთან, წარმოებებთან, ორგანიზაციებთან, ასევე ცალკეულ პირებთან.

11. 4. სახსრებსა და საკუთრებას განაგებს **სიფსფ**-ის თავმჯდომარე და პრეზიდენტი.

12. საქმიანობის ძირითადი შინაარსი

12. 1. საქართველოს ჩემპიონატებისა და თასის გათამაშებათა ჩატარება საინვალიდო სპორტის სხვადასხვა სახეობაში, ღვთის შვილთა რესპუბლიკური ოლიმპიური თამაშების ჩატარება, ტურიზმის განვითარება.

12. 2. საინვალიდო სპორტის სახეობათა მიხედვით საქართველოს ინვალიდთა ეროვნული ნაკრები გუნდების მომზადება, საკავშირო, საერთაშორისო, აგრეთვე პარაოლიმპიურ და მსოფლიო თამაშებში მონაწილეობის მისაღებად;

12. 3. ინვალიდთა ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა-განვითარების პროპაგანდა-პოპულარიზაცია, ფინანსური, სარეკლამო და საკადრო უზრუნველყოფა.

12. 4. ინვალიდ-სპორტსმენებისათვის აწესებს პრემიებს, სტიპენდიებსა და ჯილდოებს.

12. 5. ეწევა საგამომცემლო, სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობას.

12.6. ქმნის სხვადასხვა დანიშნულების ორგანიზაციებს, კოოპერატივებსა და საწარმოებს, აწარმოებს და უკეთებს რეალიზაციას პროდუქციას, როგორც რესპუბლიკაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

12. 7. ამყარებს საქმიან ურთიერთობებს დაინტერესებულ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, აგრეთვე საბჭოთა და უცხოეთის ქვეყნების ანალოგიურ და სხვადასხვა ორგანიზაციებთან.

12. 8. ხდება შესაბამისი საერთაშორისო ფედერაციის წევრი.

12. 9. მართავს საქველმოქმედო სპორტპროგნოზის და სპრინტის ლატარეას.

12. 10. ქმნის ინვალიდ-სპორტსმენთა ოლიმპიური მომზადებისა და სარეაბილიტაციო ცენტრებს.

13. სიფსფ-ის უფლებრივი მოვალეობანი

13. 1. **სიფსფ**-ს აქვს ავტონომიის უფლება, მას ენიჭება იურიდიული პირის ყველა უფლება, რომელიც საჭიროა **სიფსფ**-ის მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად, აქვს საკუთარი ანგარიში სსრკ-ის საბინაო სოციალური ბანკის რესპუბლიკური საოპერაციო სამმართველოში შემოწირულობათა და შემოსავლის, აგრეთვე უცხოური ვალუტის ჩასარიცხად და მათი დადგენილი წესით აღსარიცხად აქვს შტამპი, მრგვალი ბეჭედი, ემბლემა და ჰიმნი.

13. 2. **სიფსფ** ყველა თავის ქვედანაყოფებით, საწარმოო დაწესებულებათა და კოოპერატივებით თავისუფლდება ყოველგვარი გადასახადისაგან სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. თანამშრომლობს სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებასთან არსებულ ინვალიდთა ასოციაციასთან ხელშეკრულების საფუძველზე.

13. 3. **სიფსფ**-ის რესპუბლიკური ორგანოების ადგილსამყოფელია ქ. თბილისი.

14. საქმიანობის შეწყვეტა

14. 1. **სიფსფ**-ს საქმიანობა წყდება კონფერენციის გადაწყვეტილების საფუძველზე, თუკი მას მხარი დაუჭირა დელეგატების ორმა მესამედმა, რისთვისაც იქმნება სალიკვიდაციო კომისია.

არჩევნები ახლებურად ჩაივლის

ერთ-ერთ გაზეთში ასეთ სათაურს წავაწყდი: „300 დეპუტატი — 300 არაგველი". ვერაფერს იტყვი, ზუსტი მიგნებაა. თუ დეპუტატები საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ლაშქარში ირიცხებიან, ბუნებრივია, გვაინტერესებს, რამდენად დემოკრატიულად მიმდინარეობს არჩევნები, რა სიახლე იგრძნობა. ჩვენი სტუმრობა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში ამან განაპირობა. აქ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების სტუდენტთა № 26 საარჩევნო ოლქია შექმნილი.

ჩვენი საუბარი საარჩევნო ოლქის კომისიის თავმჯდომარესთან როლანდ კალანდაძესთან სწორედ საარჩევნო სიახლეების შესახებ დაიწყო.

● რა სიახლეს ამჩნევთ წლევანდელ არჩევნებს?

— თექვსმეტი წელია საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ვარ და გადაწყვეტილად შემიძლია ვთქვა — არჩევნებს ძალდატანებითი ხასიათი ჰქონდა. რაზეა საუბარი, როდესაც აგიტატორები თვითონ ჰყრიდნენ ბიულეტენებს ურნაში. შემდეგ რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში ითვლიდნენ ხმებს და, როგორც სპირდებოდათ, ისე გამოჰყავდათ ციფრები. ხშირად მოსახლეობა წლების განმავლობაში მოუგვარებელი პრობლემების გამო პროტესტს აცხადებდა არჩევნებში მონაწილეობაზე.

შარშანდელმა არჩევნებმა კი აშკარად დაგვანახა სიახლე. ჩვენს საარჩევნო უბანში კენჭს იყრიდნენ გიგა ლორთქიფანიძე და პარმენ მარგველაშვილი. სახალხო ფრონტმა უმკაცრესი კონტროლი დააწესა, რათა სხვის მაგივრად არ ჩაეყარათ ბიულეტენები, ასეთივე მდგომარეობა იყო ხმების დათვლისას.

წელს ამას ისიც დაემატა, რომ მთელი საარჩევნო კამპანია რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის ჩაურევლად მიმდინარეობს. ჩვენს კომისიას ევალება უბნებში მაკონტროლებელი სამუშაოების ჩატარება. ჩვენ არ გვაქვს უფლება საagიტაციო სამუშაოების ჩატარებისა. მას დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილი პირები ასრულებენ. მათვე ევალებათ დეპუტატობის კანდიდატების მოსახლეობასთან შეხვედრის ორგანიზაცია.

● რამდენი კანდიდატი იყრის კენჭს თქვენს საარჩევნო ოლქში?

— თავიდან 19 კანდიდატი იყო წარმოდგენილი. ორმა მოხსნა თავისი კანდიდატურა. ასევე მოიქცევა, ალბათ, ნინო სალუქვაძეც, რომელმაც განაცხადა, რომ გამუდმებული შეჯიბრებების გამო ვერ შეძლებს დეპუტატობას.

● სიაში 16 კანდიდატიდან ხუთი უპარტიოა. რას იტყვით ამ ფაქტზე?

— წინათ ამის გაფიქრებაც კი არ შეიძლებოდა. წელს კი ხომ ხედავთ, კანდიდატთა შორის უპარტიოებსაც ვხვდებით. ერთ რამეზე მწყდება გული — მიუხედავად ასეთი გამოცოცხლებისა, საარჩევნო ოლქში, ხალხი მაინც ინერტულობას იჩენს. საარჩევნო კომპანიის ორი ეტაპი გავიარეთ და მოსახლეობიდან, ამომრჩეველთაგან არავის მოუმართავს ჩვენთვის. არავინ დაინტერესებულა ჩვენი საქმიანობით.

თუმცა, იმედი მაქვს ყველაფერი კარგად ჩავლის და იმ თქვენმეტი კანდიდატიდან ღირსეული დაიკავებს ადგილს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა შორის.

ესაუბრა ინგა ჩახვაშვილი.

წინ სპარტაკიადაა

დიდი დრო აღარ დარჩა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის დაწყებამდე. ამ შეჯიბრებისთვის მზადების ერთ-ერთი ეტაპი გახლდათ ახლახანს დამთავრებული საქართველოს ღია პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ყირგიზეთის (ორი გუნდი), უაზახეთის, ყარაგანდის, ბელორუსიის, ქალაქ პინსკის, უკრაინის (ხერსონი), სომხეთის (კიროვაკანი) და საქართველოს გუნდები. მონაწილეთა რიცხვმა 400-ს მიაღწია!

ასპარეზობამ საშუალება მისცა მწვრთნელებს კიდევ ერთხელ შეემოწმებინათ თავიანთი აღსაზრდელების მზადყოფნა.

შეჯიბრების ბოლო დღეს განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა თბილისელი დავით ხაბელაშვილისა და გორელი ზვიად სიუკაევის ორთაბრძოლა (65 კგ წონითი კატეგორია). იგი ხაბელაშვილის გამარჯვებით დამთავრდა. ასევე კარგი შთაბეჭდილება დატოვა თეთრი წყაროს წარმომადგენელმა კახა ზაზიაშვილმა, რომელმაც I ადგილი დაიკავა 40 კგ წონით კატეგორიაში. აქვე უნდა ითქვას, ახალგაზრდა მწვრთნელის ელგუჯა წიქარაძის ნაყოფიერ მუშაობაზე, რომელმაც მოკლე დროში შეძლო თეთრი წყაროს რაიონში მოჭიდაველთა „ამოძრავება".

პირველობის დამთავრების შემდეგ ვესაუბრეთ საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, რესპუბლიკის ჭაბუკთა ნაკრების უფროს მწვრთნელს თამაზ ბენდიანიშვილს (იგი პირველობის მთავარი მსაჯიც იყო).

— ტურნირი საკმაოდ მაღალი დონისა გამოდგა. ყველა ის სპორტსმენი, ვინც ნაკრების გუნდის კანდიდატია, ღირსეულად წარსდგა სარბიელზე. ტურნირის აღმოჩენად შეიძლება ჩაითვალოს თბილისელი ჯემალ როსტომაშვილი (70 კგ), რომელმაც პირველი ადგილი დაისაკუთრა და საკმაოდ ტექნიკურად იჭიდავა. მომავალში ჩვენს გუნდს სხვადასხვა ტურნირში მოელით ძალების მოსინჯვა.

კვარცხლბეკი: 40 კგ კახა ზაზიაშვილი (თეთრი წყარო); 43. საიტ ბუთანბაევი (ყარაგანდა); 47. რუდო დონბაევი (ფრუნზე); 51. აბდ აბდულინი (ყარაგანდა); 55. დავით პოოსიანი (გორი); 60. გელა გელაშვილი (ხაშური), 65. დავით ხაბელაშვილი (თბილისი); 70. ჯემალ როსტომაშვილი (თბილისი); 76. ალიკა კახნიაშვილი (თბილისი); 83. გიორგი ტორჩინავა (თბილისი); 95. ზურაბ ლოლაშვილი (რუსთავი); მძიმე: მამუკა ფრეწუაშვილი (ყვარელი).

ნანა ბერიშვილი.

თბილისის უნივერსიტეტის ფაკულტეტის VI კურსის სტუდენტი.

დამჯერებელი რევანში

(დასასრული)

ვის სასარგებლოდ დაამთავრეს — 52:46.

ეტყობა, სწორედ ამ მომენტში მოხდა გარდატეხა. მეორე ტაიმში „დინამომ“ კიდევ ერთხელ „გაიბრძოლა“, კვლავ გაათანაბრა ანგარიში (62:62), შემდეგ კი ინიციატივა მთლიანად „ჟალგირისის“ ხელში გადავიდა. დინამოელთა თამაშს, უდავოდ, შენგელიას არყოფნამაც დაატყო დაღი.

განმეორებით მატჩში, მიუხედავად იმისა, რომ კვლავ აწუხებდა ტრავმა, შენგელია თავიდანვე ჩაება ბრძოლაში და დიდი წვლილიც შეიტანა დინამოელთა გამარჯვებაში. თბილისელმა ჯალათბურთელებმა პირველივე წუთიდან ხელთ იგდეს უპირატესობა და თამაშში გარდატეხის შეტანის არავითარი შანსი აღარ დაუტოვეს მეტოქეს. სხვაობა ანგარიშში თანდათან იზრდებოდა და მეთხუთმეტე წუთისთვის უკვე 14 ქულას მიაღწია.

მეორე ტაიმი „დინამომ“ 13-ქულიანი უპირატესობით დაიწყო და დაახლოებით მერვე წუთისთვის ანგარიში უკვე 72:54 იყო. თამამად შეიძლება ითქვას, რომ „დინამოს“ ამ დღეს ყველაფერი გამოსდიოდა, კოლექტიური თამაშიც, ინდივიდუალური გასვლებიც. მშვენივრად ითამაშა ცხვედიანმა, რომელმაც გუნდს ყველაზე მეტი, 24 ქულა შესძინა.

ერთი სიტყვით, „დინამომ“ დამჯერებელი რევანში აიღო მრისხანე მეტოქესთან და გარკვეული იმედი ჩაუსახა თავის გულშემატკივრებს ძალზე რთული მატჩების წინ, რომლებიც კიევში, ტალინსა და ალმა-ათაში ელის. სწორედ იქ, ფაქტიურად, გადაწყდება კიდეც, შეძლებს თუ არა „დინამო“ მეცხრე ადგილზე დამკვიდრებას, რაც მას გაისად უმაღლეს ლიგაში თამაშის გარანტიას მისცემს.

გიორგი ქორქია.

• • •

სხვა მატჩები: „სტატიბა“ (ვილნიუსი) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი) 70:76 (42:36), ვეფ (რიგა) — რტი (მინსკი) 117:107 (67:47).

სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში I წრე, III ტური

ავტორიტეტი მაინც ვერ აღიდგინეს

თბილისი. „დინამოს“ წყალბურთელებმა ტურის ბოლო შეხვედრა ჩემპიონატის ერთპიროვნულ ლიდერთან, სამხედრო საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტული კლუბის წარმომადგენლებთან გამართეს. ამ გუნდების შეხვედრის შედეგს თბილისელებისთვის არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არ ჰქონდა. მასპინძლები მოგება-წაგების შემთხვევაში მაინც ბოლოსწინა ადგილზე რჩებოდნენ, უკანასკნელ ოთხ ადგილზე გასულებმა კი პირველ ლიგაში დაწინაურებულ ამდენივე გუნდთან უნდა გაარკვიონ, თუ გაისად ვინ სად ითამაშებს.

ერთი სიტყვით, თბილისის „დინამოსა“ და მოსკოველი არმიელების შეხვედრას მხოლოდ პრესტიჟული ხასიათი ჰქონდა.

სტუმრებს, რომლებსაც წელს თამაში არ წაუგიათ, ბუნებრივია, რეპუტაციის შელახვა არ უნდოდათ, მით უმეტეს, აუტსაიდერთან, ხოლო დინამოელები საკუთარი მაყურებლის წინაშე დაკარგული ავტორიტეტის ნაწილობრივი აღდგენისთვის იბრძოდნენ.

შეხვედრის პირველ პერიოდში დაწინაურება ვერც ერთმა მხარემ ვერ მოახერხა, მეორეში კი მოსკოველებმა ერთბურთიან უპირატესობას მიაღწიეს. ამის მერე, მესამე პერიოდში, არმიელებმა მთლიანად ხელთ იგდეს შეხვედრის სადავეები და თამაში მათი კარნახით მიმდინარეობდა. ისინი მეთოდურად უტევდნენ მეტოქეს და ანგარიშში სულ უფრო წინ მიიწევდნენ და ხუთბურთიან უპირატესობასაც მიაღწიეს. მეოთხე პერიოდში თბილისელებმა ეს სხვაობა, ერთ მომენტში, ორ ბურთამდე შეამცირეს და ვაკის აუზში თავმოყრილ თავიანთ გულშემატკივართ იმედის ნაპერწკალი გაუღვივეს, მაგრამ ეს იყო და ეს, მთ მეტი ვეღარაფერი შეძლეს და საბოლოოდ დამარცხდნენ 7:10 (1:1. 1:2, 2:6, 3:1).

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: „დინამო“ (ალმა-ათა) — „ლოკომოტივი“ (ხარკოვი) — 6:6, ქწფ (ბაქო) — „უნივერსიტეტი“ (მოსკოვი) — 9:13.



ქალები ოსინჯეს

ქალთა საერთაშორისო დღეს — 8 მარტს მიეძღვნა მშვილდოსანთა რესპუბლიკური ტურნირი, რომელიც ტრადიციულად გაზაფხულის დადგომისას იმართება. ვაკის მძლეოსნურ მანეჟში ამჯერად თავი მოიყარეს თბილისის (2 გუნდი), აჭარისა და ქუთაისის გუნდებმა. „ამორძალები“ მარტონი არ იყვნენ, ვაჟებიც მონაწილეობდნენ შეჯიბრებაში.

ქალთა შორის პირად პირველობაში ფინალის საუკეთესო შედეგით (331 ქულა) გაიმარჯვა ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა ნატო ნასარიძემ, რომელსაც 23 ქულით ჩამორჩა თბილისის 132-ე საშუალო სკოლის მეათეკლასელი ხათუნა ქვრივიშვილი (ორივე — „მართვე“), მესამე იყო ლანა ვერულიძე — 312 ქულა („შევარდენი“).

ვაჟთა შორის 315 ქულით პირველობა მოიპოვა თბილისის 112-ე საშუალო სკოლის მეათე კლასის მოსწავლემ ალექსანდრე პაპაშვილმა („შევარდენი“), მეორე ადგილი წილად ხვდა არმიელ სერგო გატიკაევს — 313 ქულა, მესამე — სერგო ბერიძეს — 300 („შევარდენი“, თბილისი). გუნდური პირველობა ასე განაწილდა: ქალები. 1. თბილისი-I — 932 ქულა; 2. აჭარა — 884; 3. თბილისი-II — 609.

ვაჟები. 1. აჭარა — 906; 2. თბილისი-II — 865; 3. თბილისი-I — 823.

აქვე გვინდა გაცნობოთ, რომ ახლახანს გამართულ სსრ კავშირის ჩემპიონატზე სპორტსაზოგადოებებს შორის ნ. ნასარიძემ და ხ. ქვრივიშვილმა, რომლებიც „შრომითი რეზერვების“ სახელით ასპარეზობდნენ, მინსკელ ო. ზაბუგინასთან ერთად გუნდურ ჩათვლაში მეორე ადგილი დაიკავეს. გარდა ამისა, როგორც უკვე გაცნობეთ, ნატომ, ასევე, ვერცხლის მედალი მოიპოვა პირად პირველობაში.

ბ. ბიბაური.

სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

4 **მარტს** მოსკოვში, ცსკა-ს დახურულ სპორტკომპლექსში შედგა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი ტურის შეხვედრა ადგილობრივ არმიელთა გუნდსა და დონეცკის „შახტიორს“ შორის. გაიმარჯვა ცსკა-მ — 4:0.

გუშინ გაიმართა პირველი ტურის სხვა შეხვედრები. დუშანბეში შექმნილ რთულ ვითარებასა და საკომენდანტო საათთან დაკავშირებით მოსალოდნელი იყო, რომ ადგილობრივი „პამირისა“ და კიევის „დინამოს“ შეხვედრა სხვა ქალაქში გაიმართებოდა, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნის შესაბამისად დუშანბეს „პამირმა“ თავის სტადიონზე მიიღო კიევის „დინამო“.

მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

ევროპის საფეხბურთო მინდვრებზე

გთავაზობთ ევროპის ქვეყნების ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატების შეხვედრათა შედეგებს.

მადრიდი. ადგილობრივმა „რეალმა“ თავის მინდორზე ანგარიშით 2:1 დაამარცხა „სევილია“. გადამწყვეტი ბურთი საჯარიმო დარტყმით, 30 მეტრიდან, მექსიკელმა ფეხბურთელმა უ. სანჩესმა გაიტანა „სევილიის“ მეკარე რ. დასაევის კარში. ეს უ. სანჩესის 29-ე გოლია მიმდინარე ჩემპიონატში. რაც შეეხება მადრიდის „რეალს“, იგი უახლოეს მდევარს უკვე 10 ქულით უსწრებს. ლიდერს ბოლო 18 ტურში მარცხი არ განუცდია.

რომი. ეროვნული ჩემპიონატის ლიდერებმა „მილანმა“ და „ნაპოლიმ“ საკუთარ მინდვრებზე ერთნაირი ანგარიშით 2:1 დაამარცხეს „ასკოლი“ და „გენუა“.

ლიდერობს „მილანი“ (42 ქულა), რომელიც 2 ქულით უსწრებს „ნაპოლის“. სხვა შეხვედრათა შედეგები: „ატალანტა“ — „ბოლონია“ 0:0, „ჩეზანა“ — „ბარი“ 2:2, „ფიორენტინა“ — „კრემონეზე“ 0:0, „ვერონა“ — „უდინეზე“ 2:0, „ლაციო“ — „ინტერი“ 2:1, „ლეჩე“ — „რომა“ 0:2, „სამპდორია“— „იუვენტუსი“ 0:0. გათამაშების საუკეთესო ბომბარდირია მილანელი მ. ვან ბასტენი — 18 ბურთი.

ბონი. გფრ-ის ჩემპიონატში ლიდერობს მიუნხენის „ბაიერნი“, რომელმაც 23-ე ტურში შინ ანგარიშით 2:0 დაამარცხა მანჰაიმის „ვალდჰოფი“. „ბაიერს“ 32 ქულა აქვს, ფრანკფურტის „აინტრაჰტს“ — 31, „კიოლნს“ — 30.

პარიზი. საფრანგეთის ჩემპიონატის ლიდერმა „ბორდომ“ სტუმრად დიდ ანგარიშით წააგო „კანთან“ — 0:3, თუმცა, იგი 28 ტურის შემდეგ 41 ქულით მაინც ლიდერია. მეორე ადგილზე მყოფ „მარსელს“ (37 ქულა) ორი მატჩი აქვს თამაშგადარიგული. ბომბარდირთა შორის დაწინაურდა „მარსელის“ ფეხბურთელი ჟ.-პ. პაპენი — 19 ბურთი.

ამსტერდამი. ჰოლანდიის ჩემპიონატის მორიგი შეხვედრა „ეინდჰოვენსა“ და „დენ ჰაგს“ შორის დამთავრდა ფეხბურთისთვის უჩვეულო ანგარიშით — 9:2 „ეინდჰოვენის“ სასარგებლოდ.

მაგრამ ამ მატჩში „ეინდჰოვენმა“ დიდი დანაკლისი განიცადა: საუკეთესო ბრაზილიელი ფეხბურთელი რომარიო „დენ ჰაგის“ მცველ მარკო ჯენტილესთან შეჯახების შედეგად მძიმედ დაშავდა (ფეხის მოტეხილობა). ექიმების განცხადებით რომარიო თვენახევარი ვერ ითამაშებს.

ლისაბონი. ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების მეოთხედფინალში ლისაბონის „ბენფიკა“ დნეპროპეტროვსკის „დნეპრის“ მეტოქეა. „ბენფიკამ“ სტუმრად ითამაშა „პენაფიელთან“ და დიდი ანგარიშით გაიმარჯვა — 4:0. პორტუგალიის ეროვნულ ჩემპიონატში წინაა „პორტო“— 39 ქულა, ხოლო „ბენფიკა“ 36 ქულით მეორე ადგილზე იმყოფება. საუკეთესო ბომბარდირთა შორის ლიდერობს „ბენფიკის“ თავდამსხმელი შვედი ფეხბურთელი მათს მაგნუსონი, რომელმაც 24 ბურთი გაიტანა.

ტურნირი სამფაზალიანი

გიორგი ეგნატაშვილის სახელოგის თასის გათამაშება სპორტულ ტანვარჯიშში

ხშირად გვითქვამს საყვედური: თბილისელთა გარდა, რატომ არ მონაწილეობენ რესპუბლიკის პირველობებსა და ჩემპიონატებში სხვა ქალაქების გუნდებიო. თბილისში, გიორგი ეგნატაშვილის თასის გათამაშებაზე შევხვდით ქუთაისისა და ბათუმის წარმომადგენლებს (სხვა გუნდები არც ყოფილან!) და ვკითხეთ, თუ რა პირობებში უხდებათ მუშაობა ადგილებზე.

. რაც დაზამთრდა, დარბაზი ისეა გაყინული, შიგ ვერ შევდივართ. გათბობა თუ ჩაგვირთეს, ისიც ძალიან სუსტად, — გვითხრეს ბათუმელებმა.

გამოდის, სამი თვის მანძილზე უმოქმედოდ არიან!

არც ქუთაისელებს ჰქონიათ საქმე უკეთესად. კარგი მონაცემების მქონე ბავშვი თუ

გამოჩნდა, უკვალოდ რომ არ დაიკარგოს, თბილისში უნდა ჩამოვიყვანოთ, თბილისი დედაქალაქია და, ცხადია, აქ უკეთ უნდა ოსტატდებოდეს სპორტსმენი, მაგრამ სხვა ქალაქებსაც ხომ უნდა ჰქონდეთ ბავშვებთან მუშაობის ელემენტარული პირობები. უეჭველია, ამით უფრო მაღალ შედეგებსაც მივაღწევთ და საქართველოს პირველობებიც აღარ დაემსგავსება თბილისის პირველობას, ამასთან, უდავოდ გაიზრდება კონკურენცია. ვფიქრობთ, დროა ჩვენმა ტანვარჯიშის სპეციალისტებმა საგანგებოდ შეიმუშაონ ნორმატივები საქართველოსთვის და ამ ნორმატივების, და არა საკავშიროს მიხედვით, ჩატარდეს რესპუბლიკური ჩემპიონატები. თუ უცებ ყველასათვის ვერ შევძლებთ, ეგებ, ბავშვებისთვის მაინც გავისარჯოთ.

რაც შეეხება გიორგი ეგნატაშვილის სახელობის ტანმოვარჯიშეთა მეხუთე ტრადიციულ ტურნირს, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამჯერად მონაწილეთა მომზადების დონე გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე საქართველოს თასის გათამაშებისას (შარშან, დეკემბერში). სამწუხაროდ, შეჯიბრებაში ვერც ამჯერად მიიღეს მონაწილეობა ჩვენმა ლიდერებმა: ვლადიმერ გოგოლაძემ, ემზარ ფუნთუშაშვილმა და ლევან სისაურმა, რომლებიც საკავშირო ნაკრებთან ერთად იმყოფებიან შეკრებაზე. ტურნირში მონაწილეობდნენ თბილისის I, აჭარისა და ქუთაისის ნაკრები გუნდები. სამწუხაროდ, ქუთაისელები მხოლოდ ქალთა გუნდით ასპარეზობდნენ, თბილისის მეორე გუნდი კი კონკურსგარეშე გამოდიოდა. ოსტატები ასპარეზობდნენ ნებისმიერი პროგრამით, ოსტატობის კანდიდატები კი სავალდებულო და ნებისმიერი პროგრამით. ეს გამოიწვია საკავშირო პირველობის გათამაშების დებულების შეცვლამ. რამდენადაც გ. ეგნატაშვილის ტურნირი მომავალ დიდ შეჯიბრებათა ერთ-ერთ მოსამზადებელ ეტაპს წარმოადგენს, მწვრთნელებმა და სპეციალისტებმა ყურადღება მომავალ საკავშირო პირველობისთვის უკეთ მომზადებაზე გაამახვილეს.

ტურნირის ბოლო დღეს გაიმართა ფინალური ეტაპი, რომელშიც მონაწილეობდნენ ოსტატობის პროგრამით მოასპარეზენი. გოგონებს შორის ლიდერობდა ლია აბდუშელიშვილი, მაგრამ დვირზე ვარჯიშის დროს რამდენიმე შეცდომა დაუშვა და დაბალი შეფასება დაიმსახურა. მან ვერც თავისუფალ ვარჯიშში შეძლო მდგომარეობის გამოსწორება — აკრობატული ილეთის შესრულებისას კიდევ ერთხელ შეცდა (საერთოდ, სპეციალისტთა აზრით, ყველა მონაწილე აკრობატიკაში სუსტად იყო მომზადებული). აბდუშელიშვილის მთავარმა კონკურენტმა ნაირა საკაინმა კი უკეთესად იასპარეზა და გამარჯვებაც მას დარჩა — 36,2 ქულა.

ვაჟებს შორის პირველობა არავის დაუთმო ამირან ბერიანიძემ — 54,9 ქულა.

— ორი სერიოზული შეჯიბრებისთვის ვემზადებით — თქვა საქართველოს გოგონათა ნაკრები გუნდის მთავარმა მწვრთნელმა რუსუდან სიხარულიძემ, — ოსტატები — სსრ კავშირის პირველობისთვის, ოსტატობის კანდიდატები და პირველთანრიგოსნები — მოსწავლეთა სპარტაკიადისთვის, ასე რომ, ამ ტურნირს ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მონაწილეთა გამოსვლებით კმაყოფილი ვარ, იგრძნობოდა ბრძოლა, კონკურენცია. ოსტატობის კანდიდატთა შორის მომეწონა ქეთინო გელაშვილი, ეთერ დიასამიძე, პირველთანრიგოსნებში — შორენა გოგუაძე, მაია ჟორჟოლიანი. ოსტატებში კი ცოტა არ იყოს, გვეჭირს. ერთი სიტყვით, დარჩენილი დროის მაქსიმალურად გონივრულად გამოყენებაა საჭირო, მომავალ შეჯიბრებებზე უკეთ ასპარეზობისთვის.

გაგაცნობთ გამარჯვებულებს:

გოგონები:

ოსტატობის პროგრამით: 1. ნაირა საკაინი — 36,2 ქულა, 2. ლია აბდუშელიშვილი — 35,55; 3. ელა ნიკოგოსოვა — 34,65 (ყველა — თბილისი). ოსტატობის კანდიდატთა პროგრამით: 1. ქეთინო გელაშვილი — 69,8 (თბილისი), 2. ეთერ დიასამიძე — 69,8 (აჭარა), 3. მანანა ბერუკაშვილი — 69,05 (თბილისი). პირველთანრიგოსანთა პროგრამით. 1. შორენა გოგუაძე — 70,55; 2. ტატიანა ეტკო — 67,9; 3. გალია ლესნიკოვა — 65,05 (ყველა — თბილისი).

გუნდური: 1. თბილისი — 380,71; 2. ქუთაისი — 309,46; 3. აჭარა— 306,77.

ვაჟები:

ოსტატობის პროგრამით: 1. ამირან ბერიანიძე — 54,9; 2. კობა ჩოხელი — 52,85; 3. ხვიჩა გაბიევი— 52,75 (ყველა — თბილისი). ოსტატობის კანდიდატთა პროგრამით. 1. ნიკოლოზ ბარამიძე — 103,35; 2. ილია ვაშაკიძე — 102,55; 3. გიორგი კოსტანიანი — 102,1 (სამივე — თბილისი). პირველთანრიგოსანთა პროგრამით: 1. გენადი სურმანიძე — 111,0 (აჭარა); 2. ილია გიორგაძე — 109,5; 3. ვეფხია ხუბაევი — 108,1 (ორივე — თბილისი).

გუნდური: 1. თბილისი-I — 573,91, 2. აჭარა — 353,25.

გია გურდული.

• • •

სურათზე: ამირან ბერიანიძე ასპარეზობისას.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

მსოფლიო პირველობა ჭადრაკში

ორნი უკანასკნელ ჯეგირთან

ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტის გამოვლენის სისტემა დროთა განმავლობაში იცვლებოდა. დავიწყოთ იმით, რომ ადრე არ ყოფილა არავითარი „სისტემა“: მსოფლიო ჩემპიონები თავიანთ მეტოქეებად ირჩევდნენ იმათ, ვისაც მათი აზრით, ამის მორალური უფლება ჰქონდა, ყოველგვარი სპორტული შეჯიბრებების მიღმა. ერთი სიტყვით, სხვანაირად რომ ვთქვათ, ყველაფერი საჭადრაკო გვირგვინოსნების ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული. ზოგი მსოფლიო ჩემპიონი — უზადო ჯენტლმენი, სრულიად ობიექტურად ირჩევდა მეტოქეს (სტეინიცი), ზოგიც (ვთქვათ ლასკერი) „წელს ითრევდა“ და უძლიერეს დიდოსტატებს გვერდს უვლიდა. აქ დიდი უსამართლობა იყო ისიც, რომ არავის დაუდგენია მსოფლიო პირველობაზე მატჩების პერიოდულობა და ზოგჯერ პაუზები ათ წელსაც კი გრძელდებოდა. ასეთმა არანორმალურმა მდგომარეობამ საჭადრაკო სამყაროში 60 წელზე მეტხანსაც კი მიაღწია, სანამ საბოლოოდ არ დაადგინეს, რომ მსოფლიო ჩემპიონს ყოველ სამ წელიწადში ერთხელ უნდა დაეცვა თავისი წოდება.

1948 წელს ეს სამართლიანი სისტემა ძალაში შევიდა. პრეტენდენტი სპეციალურ ტურნირში თუ მატჩ-ტურნირში ფლინდებოდა, გამარჯვებული კი ყოველთვის საბჭოთა დიდოსტატი იყო. და აი, 1962 წელს კიურასაოში რობერტ ფიშერმა აშკარად დაადანაშაულა საბჭოთა დიდოსტატები, რომ ისინი ერთმანეთს „ხელს უწყობდნენ“. მაშინ ფიდე-მ პრეტენდენტთა ტურნირი გააუქმა და 1965 წლიდან მოყოლებული იგი მატჩებით შეიცვალა, სადაც „მესამე ძალის“ ჩარევა სრულიად შეუძლებელია. ამის შემდეგ საერთოდ შეწყდა ყოველგვარი პროტესტი, ლაპარაკი არაობიექტური შედეგების შესახებ. ამ სისტემამ სავსებით გაამართლა და დღემდე ძალაში რჩება კიდეც.

ახლა კი გადავხედოთ, როგორ მთავრდებოდა პრეტენდენტთა ფინალური მატჩები: 1965 წ. სპასკი — ტალი 4:1 (-6), 1968 წ. სპასკი — კორჩნოი 4:1 (-5), 1971 წ. ფიშერი-პეტროსიანი 5:1 (-3), 1974 წ. კარპოვი — კორჩნოი 3:2 (-19), 1977 წ. კორჩნოი-სპასკი 7:4 (-7), 1980 წ. კორჩნოი — ჰიუბნერი 3:2 (-3), 1983 წ. კასპაროვი — სმისლოვი 4:0 (-9), 1986 წ. სოკოლოვი — იუსუპოვი 5:3 (-7). ამას მოჰყვა ეგრეთწოდებული სუპერფინალური მატჩი: კარპოვი — სოკოლოვი 4:0 (-7).

როგორც ცნობილია, ბოლო წლების განმავლობაში ბრძოლა მსოფლიო პირველობაზე მხოლოდ და მხოლოდ გარი კასპაროვსა და ანატოლი კარპოვს შორის მიმდინარეობს. მათი უამრავი შეხვედრის შემდეგ (131 პარტია მატჩებსა და ტურნირებში) კასპაროვს სულ ორი ქულის უპირატესობა აქვს. ტრადიცია შეიძლება არც წლეულს დაირღვეს და კასპაროვ-კარპოვის რიცხვით მეხუთე მატჩის მოწმენი გავხდეთ, თუკი, რა თქმა უნდა, მოსკოველმა დიდოსტატმა იან ტიმანს სძლია. ეს ფინალური შეხვედრა კი იწყება ხვალ ჰოლოლულუში (ჰავაის კუნძულები).

გადავხედოთ კარპოვისა და ტიმანის მოკლე სადარბაზო ბარათებს

ანატოლი კარპოვი დაიბადა 1951 წ. 23 მაისს. საერთაშორისო ოსტატი გახდა 1969 წ., საერთაშორისო დიდოსტატი — 1970 წ., მსოფლიო ჩემპიონი იყო 1976-1985 წლებში, მსოფლიო ჩემპიონი ჭაბუკებს შორის — 1969 წ., რამდენჯერმე ფლობდა „საჭადრაკო ოსკარს“. 1976, 1983 და 1988 წლებში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი იყო. საჭადრაკო ოლიმპიადებში მონაწილეობს 1972 წლიდან, ევროპის პირველობებში — 1973 წლიდან, ორჯერ გახდა მსოფლიო ჩემპიონი გუნდურ შეჯიბრებაში. დღემდე არც ერთ მოჭადრაკეს არ მოუპოვებია იმდენი პირველი პრიზი საერთაშორისო ტურნირებში, რამდენიც კარპოვს. 1979 წლიდან მოყოლებული ყოველკვირეულ „64-საჭადრაკო მიმოხილვის“ მთავარი რედაქტორია, არის რამდენიმე წიგნის ავტორი.

კარპოვი წლების განმავლობაში სათავეში ედგა მოჭადრაკეთა „რეიტინგ-ლისტს“. მას შემდეგ, რაც მსოფლიო ჩემპიონობა დაკარგა, გადაინაცვლა მეორე ადგილზე. მისი ახლანდელი რეიტინგია — 2730.

იან ტიმანი დაიბადა 1951 წ. 14 დეკემბერს. საერთაშორისო ოსტატი გახდა 1971 წ. საერთაშორისო დიდოსტატი — 1974 წელს., მსოფლიო პირველობის საზონათშორისო ტურნირებში დიდხანს წარმატებას ვერ აღწევდა, მაგრამ 1985 წელს ტაქსკოში (მექსიკა) პირველად შეძლო ასეთი ჯეგირის გადალახვა და პრეტენდენტთა ასპარეზობაში მონაწილეობის მიღება. აქ მან წააგო იუსუპოვთან (1:4, ოთხი ყაიმი), მაგრამ სამაგიეროდ, დიდი წარმატებით მონაწილეობს პრეტენდენტთა ასპარეზობის ახლანდელ ციკლში, სადაც ბძლია ხალოვს, პორტიშსა და სპილმენს.

ტიმანი მონაწილეობდა ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატში 1968 წელს სადაც მესამე ადგილზე გამოვიდა. სხვადასხვა დროს გაიმარჯვა მრავალ საერთაშორისო ტურნირში. არის ჰოლანდიის რვაგზის ჩემპიონი.

საინტერესოა, რომ გამოჩენილ ჰოლანდიელ დიდოსტატს ორი მატჩი აქვს ნათამაშევი გარი კასპაროვთან. 1984 წელს ისინი ერთმანეთს შეხვდნენ საჭადრაკო „დანარჩენი მსოფლიოს“ მატჩში. აქ კასპაროვმა მოიგო ერთი პარტია, სამი — ყაიმით დააფიქსირა. 1986 წელს დიდოსტატები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს ამხანაგურ მატჩში. ჰილვერსუმში, სადაც კასპაროვმა მოიგო 3 პარტია, 1 წააგო, ორი ყაიმით დაამთავრა.

ტიმანის ახლანდელი რეიტინგია 2680 (მსოფლიოში მესამე შედეგი).

რა თქმა უნდა, ჭადრაკის მოყვარულებს ძალიან აინტერესებთ, რას უნდა ველოდოთ კარპოვ-ტიმანის მატჩში. ჰოლანდიელი დიდოსტატი დღემდე ძალიან წარუმატებლად თამაშობდა კარპოვის წინააღმდეგ, აშკარად ასრულებდა მისი საჭადრაკო „კლიენტის“ როლს. ამის საფუძველზე ბევრი მიმიმხილველი თვლის, რომ კარპოვი მოიგებს ამ მატჩსაც და კიდევ ერთხელ შეხვდება კასპაროვს. ამ აზრს ახლა მოწინააღმდეგეებიც გამოუჩნდნენ. ისინი მიუთითებენ, რომ ტიმანის მომზადება მთელი შარშანდელი წლის მანძილზე ჩინებული იყო, კარპოვს კი კრიზისის ნიშნები დაეტყო. ეს ექსპერტები მიიჩნევენ, რომ დიდი მნიშვნელობა არც ადრინდელ ანგარიშს აქვს, რადგან ერთი საქმეა ცალკეული სატურნირო შედეგები და სულ სხვა — დიდი მატჩი.

თუმცა მოდით, მზამზარეულ რეცეპტებს დიდ ყურადღებას ნუ მივაქცევთ...

ბივი გამრეკელი.

კვლავ გარი კასპაროვი

ესპანეთის ქალაქ ლინარისში დამთავრდა დიდი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომლის ბოლო ტურშიც მსოფლიო ჩემპიონმა გარი კასპაროვმა დაამარცხა ესპანელი მიგელ ილესკასი, მოაგროვა 8 ქულა და პირველი ადგილი დაიკავა. მას ნახევარი ქულით ჩამორჩა ბორის გელფანდი, რომელმაც ბოლო ტურში ყაიმით დაამთავრა პარტია ვასილი ივანჩუკთან. 7 ქულით მესამე ადგილი ვალერი სალოვს ერგო. დანარჩენი ადგილები ასე განაწილდა: ივანჩუკი — — 6,5, ნაიჯელ შორტი — 6, არტურ იუსუპოვი, ბორის გულკო — 5,5-5,5, ალექსანდრე ბელიავსკი— 5, ლაიოშ პორტიში ბორის სპასკი, ილესკასი — 4-4, ლიუბომირ ლიუბოევიჩი — 3.

ჩოგბურთის ამბები

როტერდამი. აქ დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდიც 475.000 დოლარია. ცნობილმა ამერიკელმა ჩოგბურთელმა ბრედ ჯილბერტმა ფინალურ ორთაბრძოლაში დაამარცხა შვედი ონნას სვენსონი (6:1, 6:3) და გამართლა თავისი, როგორც ტურნირის ფავორიტის, რეპუტაცია. აღსანიშნავია, რომ ეს ჯილბერტის პირველი გამარჯვებაა ევროპის ტურნირებზე.

ინდიან უელსი (აშშ). წლევანდელ სეზონში ჯერ მარცხი არ განუცდია ამერიკელ მარტინა ნავრატილოვას. კალიფორნიის ამ ქალაქში გამართული ტურნირის ფინალში ნავრატილოვამ დაამარცხა ჩეხი ჰელენა სუკოვა — 6:2, 5:7, 6:1.

მემფისი. ამერიკის ამ ქალაქში დასრულდა ტურნირი დახურულ კორტებზე. ყველასათვის მოულოდნელად გაიმარჯვა 21 წლის დასავლეთგერმანელმა ჩოგბურთელმა მიხაილ სტიჩმა. ფინალში იგი შეხვდა გამოცდილ ავსტრიელ უალი მაზურს და დაამარცხა ანგარიშით 6:7, 6:4, 7:6.

ᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲒᲐᲠᲘ

თეგერვლის ტრიუმფატორები

(დასასრული)

ფინალები ჩვეულებრივ ამბად იქცა და სხვაგვარად ვეღარც წარმოგვიდგენია. ჩემპიონები გახდნენ: ამერან ტოტიკაშვილი, ჭითურელი გურამ მოდებაძე, დუშელი ბათო ჯიქური, ქუთაისელები დავით ხახალეიშვილი და ავთანდილ გუბელაძე. ვერცხლის მედლები მოიპოვეს საგარეჯოელმა გიორგი ხოხიტაშვილმა, ლენტეხელმა ზურაბ ონიანმა, ახმეტელმა დავით ბაგაურმა, ხაშურელმა ვეფხია კაპანაძემ და ქუთაისელმა აკაკი კიბორძალიძემ, ბრინჯაოსი — ლენტეხელმა გერასიმე ხაბულიანმა, ახმეტელმა ვახილ ომარაშვილმა, მარნეულელმა ლერი ყორეოლიანმა (ქვემძიმე და აბსოლუტურში).

თავი გამოიჩინეს ჩვენმა ჭაბუკმა ძიუდოისტებმაც, რომლებმაც ახევეტრიუმფით დაასრულეს რიაზანში გამართული თანატოლთა საკავშირო პირველობა. აქ ცხრიდან ხუთი ოქროს მედალი სწორედ მათ დაისაკუთრეს. ამას გარდა, თერთმეტი ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალიც მოიპოვეს. ჩემპიონები გახდნენ: გიორგი ვაზაგაშვილი, ალექსანდრე ღვინიაშვილი, გოჩა ერისთავი, ზაზა გოლეთიანი და თამაზ ცოფურაშვილი.

როცა თბილისის ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირი დამთავრდა, მისმა მონაწილეებმა ძალა მოსინჯეს ქართულ ჭიდაობაშიც, რომელშიც ბედს ცდიდნენ იაპონიის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, თურქეთის, სსრ კავშირისა და საქართველოს წარმომადგენლები. ტურნირი, როგორც მოსალოდნელი იყო, ქართული ფალავნების გამარჯვებით დასრულდა. უძლიერესის სახელი კი მოიპოვეს საგარეჯოელმა გიორგი ხოხიტაშვილმა, ლენტეხელმა ზურაბ ონიანმა, ქუთაისელმა ვალერი კიბორძალიძემ და თბილისელმა მევლუდ ლობჟანიძემ.

თბილისელმა გიორგი ჩოგოვაძემ ერთ დღეში ორი ხაკავშირო შეჯიბრების მედლები მოიპოვა. ეს მოხდა პენზაში, სადაც ერთმანეთის პარალელურად წყალში მხტომელთა ორი ასპარეზობა — სსრ კავშირის ჩემპიონატი და ვაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზის საკავშირო გათამაშება ჩატარდა. ჩოგოვაძემ 10-მეტრიანი კოშკიდან ხტომაში ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა, ხოლო გაზეთის პრიზზე გამართულ პაექრობაში უველას აჯობა.

ამავე შეჯიბრებაზე მეორე თბილისელი სპორტსმენი გიორგი შელიუგოვი 1-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში ჩემპიონატის მესამე პრზიორი გახდა.

სულ ახლოს იყო ოქროს მედალთან ახალგაზრდა თბილისელი მშვილდოსანი ნატო ნახარეიძე, რომელიც ჩეხოსლოვაკიაში სსრ კავშირის ჩემპიონატში გამოდიოდა. აქ ჩემპიონის გამოსავლენად დამატებითი ხერიის ჩატარება გახდა საჭირო. მართალია, ოქროს მედლის მოსაპოვებლად ნატოს გამოცდილება არ ეყო, მაგრამ, ვფიქრობთ, მისთვის არც „ვერცხლია“ ურიგო, მით უმეტეს, რომ ნახარეიძემ საკავშირო ჩემპიონატში ასეთ წარმატებას პირველად მიაღწია.

საკავშირო ჩემპიონატში ასეთივე წარმატებას პირველად მიაღწია ხოხუმელმა მძლეოსანმა ტარიელ ბიწაძემაც. მან ჩელიაბინსკის დარბაზში გამართულ ჩემპიონატში გამოიჩინა თავი ბირთვის კვრაში.

ვერცხლის მედალი მოიპოვა თბილისელმა ველოსიპედისტმა ოთარ მჭედლიშვილმაც, რომელმაც ამ წარმატებას მოსკოვში, სსრ კავშირის ჩემპიონატში სპრინტერთა რბოლაში მიაღწია.

ჩვენი მეკლდეურები დიდი ხანია ველარ გვახარებენ. ასეთ ფონზე დიდ წარმატებად გვესახება მესტიელი ზაზა გურჩიანის მიღწევა კისლოვოდსკში გამართულ გშირი მედიკოსების საკავშირო თასის გათამაშებაზე, სადაც მონაწილეთა სარეკორდო რაოდენობამ მოიყარა თავი. მათ შორის იყვნენ უძლიერესი სპორტსმენებიც. მათთან ბრძოლაში ზაზამ ყველას აჯობა ინდივიდუალურ გარბენში, ეგრეთ წოდებულ სუპერტრასებზე ასპარეზობაში I-IV ადგილები გაიყო, აბსოლუტურ პირველობაში კი მესამე იყო.

ჩოგბურთელთა მოსკოვის ღია ჩემპიონატში თბილისელმა დავით კაჭარავამ ერთეულთა ფინალში უძლიერესის სახელი მოიპოვა.

ბოლო დროს თბილისელი ჩოგბურთელი ლეილა მეხხი დიდ წარმატებებს აღწევს საერთაშორისო ტურნირებში. ამ მხრივ თებერვალი მისთვის ბედნიერი აღმოჩნდა. ჯერ იყო და ოკლენდში გამართულ ახალი ზელანდიის ღია ჩემპიონატის ერთეულთა ტურნირში გაიმარჯვა, მერე კიეველ ნატალია მედვედევასთან ერთად წყვილთა პაექრობაშიც ჩემპიონის სახელი მოიპოვა. ამის მერე მეხხი ჩაება ამავე ქვეყნის დედაქალაქ ველინგტონში გამართულ საერთაშორისო ტურნირში, რომელსაც „ვირჯინია სლიმზის“ სტატუსი აქვს და მის სერიებში შედის. აქ მან კვლავ გაიმარჯვა მედვედევასთან ერთად წყვილთა თანრიგში, ხოლო ერთეულთა ასპარეზობაში მეორე იყო.

ჩოგბურთელების წარმატებები ამით არ ამოწურულა. ხოფიაში გამართულ იუნიორთა საერთაშორისო ტურნირში, რომელშიც ბულგარეთის, დანიის, იტალიის, რუმინეთის, იუგოსლავიის, პოლონეთის, უკრაინის, ესტონეთისა და საქართველოს წარმომადგენლები გამოდიოდნენ, თბილისელმა ანატოლი ახალაძემ უველას აჯობა. შეგახსენებთ, ფინალში მან იუნიორებს შორის შარშანდელ ევროპის ჩემპიონ, ჩეხოსლოვაკიელ დ. ფრჩლიკს მოუგო.

ძალზე გაგვახარა ბაკურიანელმა კახაბერ წაქაძემ, მან 90-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის სპარტაკიადის ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა.

„ლელოს“ სპორტული

განყოფილება.

ᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ

ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡ ქალაქ ამერსფორტში დასრულდა მატჩი მსოფლიო პირველობაზე 100-უჯრიან შაშში ალექსეი ჩიჟოვსა და ტონი სეიბრანდს (ჰოლანდია) შორის. ბოლო, მეოცე პარტიაში მეტოქენი დაზავდნენ და მატჩიც ყაიმით — 10:10 დამთავრდა. დებულების თანახმად, ჩიჟოვმა შეინარჩუნა მსოფლიო ჩემპიონის წოდება.

„ᲡᲞᲝᲠᲢᲚᲝᲢᲝ“

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ „სპორტლოტოს“ 1990 წლის მე-9 ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: 26 (თანამედროვე ხუთეული), 32 (ფიგურული ციგურაობა), 35 („შაიბიანი ჰოკეი), 37 (აკრობატიკა), 38 (მთამსვლელობა), 43 (ტურიზმი).

„სპორტლოტო 5 36“-დან: 8 (ველორბოლა, ტრეკი), 17 (საციგურაო სპორტი), 27 (ბშვილდოსნობა), 29 (სასტენდო სროლა), 34 (ბალახის ჰოკეი).

„სპორტლოტი 5 36“-დან: მე-8 ტირაჟში მონაწილე ბილეთებს, რომელთა ნომრებია 431 484 სერია 170, 999549 სერია 184, 838410 სერია 138 წილად ხვდათ კეთილი ნების თამაშებზე (აშშ) გასამგზავრებელი უფასო საგზურები.

„ᲚᲔᲚᲝᲡ“ ᲛᲔᲛᲓᲔᲑᲘ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲕᲐ ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲡ, 8 ᲛᲐᲠᲢᲡ.

რედაქტორი

თ. გაჩეჩილაძე.

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲙᲚᲣᲑᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲗᲐ ᲧᲣᲠᲐᲦᲚᲔᲑᲘᲗ!

კონფერენცია გაიხსნება 7 მარტს 12 საათზე პროფკავშირების სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ რესპუბლიკური საბჭოს სხდომათა დარბაზში (აკ. წერეთლის პროსპექტი № 95-ა)

დელეგატთა რეგისტრაცია 11 საათიდან.

ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲝ ᲯᲒᲣᲤᲘ

ᲒᲣᲓᲐᲠᲔᲣᲚᲘᲡ ᲢᲐᲢᲐᲛᲖᲔ

ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘᲡ დედაქალაქში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში. კარგად იასპარეზა თბილისელმა კახა ქურასბედიანმა (60 კგ), რომელმაც მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა. ამ წონით კატეგორიაში გამარჯვება მოიპოვა ფრანგმა ფილიპ სალომ. სხვა წონებში პირველები იყვნენ: უდო კველმალეი (გდრ, 65 კგ), ნორბერტ ვაისნერი (ავსტრია, 71), კიმ ბიუნ იუ (ს. კორეა, 78), ვლადიმერ შესტაკოვი (86), ვადიმ ვოინოვი (95), რუსლან შარაპოვი (+95, ყველა — სსრ კავშირი).

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲤᲝᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ:
წერილების განყოფილება — 98-97-55, სამდივნო — 98-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 98-97-53, „მერანი“ — 98-97-26, „მირავი“ — 98-97-27.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. ბეჭდავს ოფსეტური წესით საგაზეთო ქორეულში: ხიშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08743